# გურიის ერობის მოამბე

№6
ფასი 3 მანეთი

ერობის ყოველკვირეული გაზეთი

კვირა 8 თებერვალი 1920 წელი ქ. ოზურგეთი


## 8 თებერვალი.

რაც განათლებულმა ევროპამ თავის ათეულ თაობათა დაუღალავი და გამუდმებული შრომით შექმნა საუკუნეთა განმავლობაში, ის მსოფლიო ომმა სულ რაღაც ხუთიოდ წლის განმავლობაში გაანადგურა და ევროპის დიდი თუ პატარა ერები საშიშარი ეკონომიური და ფინანსიური კატასტროფის წინაშე დააყენა. თუ ჩვეულებრივი ომების შედეგათ ერთის მხრით გამარჯვებულთ, ხოლო მეორე მხრით დამარცხებულთ ვხედავდით, მიმდინარე მსოფლიო ომის ერთ-ერთ განმასხვავებელ თვისებათ უნდა ჩაითვალოს ის, რომ მან მოგვცა მხოლოდ დამარცხებულნი.

მოკავშირეთა ზეიმი და დაუსრულებელი სიხარული გამარჯვების შესახებ სინამდვილეში მხოლოდ ტრაბახი და უსაფუძვლო თავის ნუგეში იყო, ვინაიდან ამ ომის წყალობით თუ გერმანია სასტიკათ დამარცხდა, ბარბაროსული ოსმალეთი და შედარებით კულტუროსანი ავსტრია ერთიანად განადგურდა, ხოლო რუსეთი კი თითქოს სავსებით ამოიშალა სახელმწიფოთა სიიდან დროებით მაინც, სამაგიეროთ არც საფრანგეთს, ამაყ ალბიონსა და სხვებს დასდგომიათ კარგი დღე. როგორც უკანასკნელთა ოფიციალურმა წარმომადგენლებმა არა ერთხელ საქვეყნოდ განაცხადეს, ისინიც საშინელი ეკონომიურ-ფინანსიური კრახის წინაშე იმყოფებიან, საიდანაც მათ გამოსავალი ვერ უპოვიათ.

მოკავშირენი საფრანგეთის მეთაურობით დღევანდლამდე მხოლოდ იმის ცდაში იყვნენ, რომ რაც შეიძლება მეტი წაეგლიჯათ, რაც შეიძლება უფრო მაგრათ მოეჭირებიათ მუხრუჭები მოწინაამდეგეთათვის ბლოკადის, თუ სხვა ათასგვარი ხრიკების წყალობით, რითაც მათ შესამჩნევათ დასცეს ეკონომიურათ ისინი, დააუძლურეს და ხელი შეუწყვეს მათში ანარქიის ალის გაღვივებას.

უკანასკნელ ხანებში თითქოს ანტანტამაც შეიგნო, რომ მათი უგუნური პოლიტიკის წყალობით ანარქია აქა თუ იქ ამა თუ იმ სახით თან და თან უფრო ფართოვდება და საფრთხეს უმზადებს არა თუ მარტო მოკავშირეთა ბატონობას, არამედ მთელ დღევანდელ წყობილებასაც საერთოდ.

მსოფლიოს ეკონომიური კრიზისიდან გამოსაყვანათ საჭიროა მრეწველობისა და საერთაშორისო ალებმიცემობის აღდგენა, მაგრამ მარტო მოკავშირეთ ამის ძალა არ შესწევთ, ვინაიდან მსოფლიო ბაზრის მოთხოვნილება მათ მიერ გატანილ ნაწარმოებთა რაოდენობას ბევრათ აღემატება, ე. ი. შეკითხვა, ანუ საქონლის მოთხოვნილება, მსოფლიო ბაზარზე ბევრათ უფრო მეტია, ვინემ მიწოდება, ხოლო უკანასკნელის შესაფერათ გაზრდა—გადიდება მათი საკუთარი საწარმოო ძალების საშუალებით კი დღევანდელს საერთაშორისო პირობებში ყოვლად შეუძლებელია.

რომ მსოფლიო ბაზარი რამდენიმეთ მაინც დაკმაყოფილდეს და მაშასადამე კაცობრიობამ ცოტათი მაინც ამოისუნთქოს ამდენ უბედურებას, ამდენი ხნის შიმშილ—სიტიტვლეს შემდეგ, ამისათვის საჭიროა მობილიზაცია და ამუშავება მსოფლიოს ყველა ეკონომიური ძალებისა. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მსოფლიო ომმა ზოგ ქვეყნებში სავსებით გაანადგურა, ხოლო ზოგში კი შესამჩნევათ შეამცირა და შეავიწროვა ისინი. მაგალითად, ომამდე გერმანიას აუარებელი მანქანები, ქიმიური პრეპარატები და სხვა ბევრგვარი საქონელი გაჰქონდა მსოფლიო ბაზარზე. დღეს კი თვითონ საჭიროებს ბევრს მათგანს, ვინაიდან საომარ მდგომარეობაზე დაყენებულ ქარხანა—ფაბრიკების ჩვეულებრივ მდგომარეობაში ჩაყენებას ესაჭიროება ერთის მხრით კაპიტალი,

რომლის დიდი ნაწილი ომმა გაუფლანგა, ხოლო მეორე მხრით კი ნედლი მასალა და სათბობი მასალა, რომელნიც გერმანიას უმთავრესად გარედან შემოჰქონდა.

რუსეთი, რომელიც ომამდე ევროპის ბეღლათ ითვლებოდა, აუარებელ პურს, ქვანახშირსა და სხვას აწვდიდა ევროპას. დღეს კი ის სამოქალაქო ომის ცეცხლშია გახვეული, სავსებით მოწყვეტილია მსოფლიოს ეკონომიურ ორგანიზმს და არც არავინ იცის, თუ როდის ჩადგება ის ჩვეულებრივ კალაპოტში, როდის შეიძლებს ის ევროპას რამე მიაწოდოს.

ასეთს პირობებში ევროპისათვის დიდი დახმარების გაწევა შეეძლო ამერიკას, როგორც პურით და ფაბრიკატებით, აგრეთვე განსაკუთრებით ფინანსებით, მაგრამ მოკავშირეთა ინტერესების სხვა და სხვაობამ ის უკვე ჩამოაშორა მათ და დააყენა იზოლიაციის გზას. დღეს ამერიკა უკვე განცალკევებულათ აწარმოებს პოლიტიკას და გაურბის ევროპის შინაურ ცხოვრებაში ჩარევას.

ამნაირათ, დღევანდელი საერთაშორისო პირობები ისეთია, რომ ძნელია თქმა, კაცობრიობამ არსებულ ეკონომიურ კრიზისს ახლო მომავალში თავი დააღწიოს. ომის მიერ შექმნილი მდგომარეობა იმას გვიკარნახებს, რომ თვითეული ერი, თვითეული სახელმწიფო, უმთავრესად თავის საკუთარს თავს, თავის საკუთარს ეკონომიურ ძალებს დაემყაროს და შეუდგეს ამ ძალების მოთხოვნილების და მიხედვით ზრდა-განვითარებას. ეს უნდა კარგათ შეიგნონ განსაკუთრებით ისეთმა ახლად წარმოშობილმა სახელმწიფოებმა, როგორიცაა საქართველო, რომელსაც თავისი მრეწველობა თითქმის არც კი გააჩნია. ასეთი სახელმწიფო, მსოფლიო ბაზარი თუნდა ავსილიც იყოს ყოველგვარი საქონლით, სასურველ მდგომარეობამდე მაინც ვერ მიაღწევდა, უკეთუ არ შექმნიდა და არ განავითარებდა საკუთარ მრეწველობას, არ ააყვავებდა საკუთარ მეურნეობას, ერთი სიტყვით, არ ამაღლდებოდა იმ ეკონომიურ დონემდე, რომელზეც დგანან დაწინაურებული ქვეყნები. ისეთს ქვეყანას, რომელსაც მსოფლიო ბაზარზე არაფერი გააქვს, ცხადია, მას შემოსატანი საშუალებაც არ მოეპოვება, ხოლო უფასოდ კი მას არავინ არაფერს მიაწვდის. ამიტომ, თუ გვინდა, რომ გარედან ჩვენთვის საჭირო საქონელი შემოვიტანოთ, ამისათვის ჯერ უნდა შევიძინოთ ფული, ხოლო ფულს კი შევიძენთ მაშინ და იმდენათ უფრო, როცა და რამდენათაც მეტს საკუთარ ნაწარმოებს გავიტანთ მსოფლიო ბაზარზე. ამისათვის კი საჭიროა შევქნათ და განვავითაროთ საკუთარი წარმოება, ამოვილოთ ჩვენი ქვეყნის ბუნების წიაღიდან იქ მკვდრათ მდებარე სიმდიდრე და გადამუშავებული სახით მსოფლიო ბაზარზე გავიტანოთ. როდესაც ჩვენ ამას შევიძლებთ, მაშინ უფრო მეტი გვექნება ჩვენ ფული, ამ ფულის ღირებულებაც შედარებით გაიზრდება და გარედანაც უფრო მეტს შემოვიტანთ ჩვენთვის საჭირო საგნებს. აქედან, ცხადია, რომ ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესება დამოკიდებულია არა მარტო საერთაშორისო პირობებზე, დამოუკიდებლობის ცნობაზე და სხვა, არამედ აგრეთვე და უმთავრესად ის დამოკიდებულია ჩვენი საკუთარი შრომისა და საქმიანობის უნარზე. ჩვენი საკუთარი ბედის გამჭედი უმთავრესად გართ თვითონ ჩვენ. ამიტომ თვითეული ჩვენგანი, უბრალო მოქალაქე ის, თუ პასუხის მგებელი მოსამსახურე, მოვალეა ანგარიში გაუწიოს დღევანდელ ჩვენს მდგომარეობას, ხელი შეუწყოს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურათ მოღონიერების საქმეს. მაგრამ განსაკუთრებით დიდი და მძიმე მოვალეობა აწევს დღეს კისერზე ერობას. მან უნდა თავი მოუყაროს ქვეყნის ყველა სასიცოცხლო ძალებს და მათი ენერგია ამ მხრით მიმართოს.

ნაკლები იმედები გარეშე ძალებზე. მეტი იმედები ჩვენს საკუთარს თავზე, ჩვენს საკუთარ ძალებზე. ამაშია ჩვენი ქვეყნის ხსნა, ეს მოგვიყვანს ჩვენ სასურველ მდგომარეობამდე.

## საუბარი მკითხველთან.

— V

### ჩვენს მიდრეკილებაზე.

რამდენათაც დიდი ხნის განმავლობაში მუშავდება ადამიანის რწმენა და შეხედულება ამა თუ იმ საგანზე და მოვლენაზე, იმდენათ ძნელია მისი გამოთხოვება, ერთბაშათ შეცვლა და ახალი რწმენა-შეხედულების შეთვისება, ახალ გზაზე დადგომა.

რუსეთის თვითმპყრობელურმა რეჟიმმა საუკუნის განმავლობაში შეიმუშავა ჩვენში ისეთი შეხედულება, თითქო მთავრობა იყოს არა ხალხისათვის, არამედ ხალხი მთავრობისათვის.

როგორც კანონის გამოცემა, ისე მისი ცხოვრებაში გატარება, შეადგენდა მხოლოდ მეფის უფლებას.

რადგანაც მეფე იყო იმპერიაში უპირველესი მემამულე, უბრწყინვალესი თავადი და ბანკირი, და. რადგანაც მის ხელში იყო მართვისა და გამგეობის მთელი უფლება, ამიტომ მთელი მისი მოღვაწეობა იმაში გამოიხატებოდა, რომ გამოეცა და განეხორ-

ციელებია ისეთი კანონები, რომლებიც იცავდენ მეფის ერთგულ თავად-აზნაურებისა და მსხვილი მემამულე კაპიტალისტების ინტერესებს და ერთიანად ეწინააღმდეგებოდენ ხალხს. ამას მოითხოვდენ საკუთარი ინტერესები როგორც მეფისა, ისე ხალხის ზურგზე გამძღარ, ყოველგვარი უფლება-უპირატესობით აღჭურვილ მისი დამქაშებისა.

მაშინ არ იყო ხალხიდან არჩეული მთავრობა, ეხლანდელი რესპუბლიკა ღ მისი მოქალაქე. იყო ღვთისგან მოვლენილად წოდებული თვითმპყრობელი მეფე, დიდი ბატონი, და ხალხი კი მისი ყმა-ქვეშევრდომი.

მთავარი აღმასრულებელი ორგანო, რომელსაც დაკისრებული ქონდა თვითმპყრობელი მეფის წყობილების წესრიგის დაცვა და ხალხში გატარება ყველა მისი ბრძანებისა, იყო მაშინდელი პოლიცია.

მამასახლისი და სოფლის მწერლები, ბოქაული, მაზრის უფროსები და გუბერნატორები მათი სტრაჟნიკებით, აი ის პირები, რომლებიც იყვნენ მოვლინებული მაშინდელი წყობილების დასაცავათ და, რამდენათაც ერთგულათ იცავდენ ისინი მაშინდელ სახელმწიფო წყობილებას, იმდენათ ებრძოდენ ხალხის ინტერესებს, მოქმედებდენ ხალხის საზარალოთ, მიაქანებდენ სახელმწიფოს დაღუპვისაკენ.

ეს შეამჩნიეს ხალხის ერთგულმა შვილებმა და დაიწყეს ხალხში ქადაგება იმ აზრებისა, რომ მეფის თვითმპყრობელობა შეცვლილიყო პირდაპირ ხალხის მიერ არჩეული მართვაგამგეობით. ეს არ დარჩა შეუმჩნეველი ძველ პოლიციას, დაედევნენ ხალხის ამ მოამაგეთ. გაიმართა ჭიდილი მათ შორის. ვინ მოსთვლის რამდენი მსხვერპლი შეეწირა ამ აზრის ხალხში გავრცელებას. ციმბირი და მისი მიდამო, კატორღები და ციხეები გავსებული იყო ამ თავდადებული გმირებით. რამდენი გამოკიდეს სახრჩობელაზე, ამის ანგარიშს ისტორია გადასცემს მომავალ თაობას.

თვითმპყრობელობასა და ხალხს შორის ჩატყდა ხიდი. გაჩნდა ხალხში შეგნებულთა მოზრდილი ძალა, რომელმაც თან ღ თან იწყო მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედება. რამდენათაც ღრმავდებოდა ხალხსა და მთავრობას შუა წინააღმდეგობა, იმდენათ მტკიცდებოდა და მუშავდებოდა ხალხში პოლიციისადმი ზიზღი ღ სიძულვილი. გაურბოდენ პოლიციას და მის მოხელეებს, უმალავდენ თავის საჭიროებას და ეს სიძულვილი იმდენათ ღრმათ გაუჯდა ხალხს გულში, რომ დაიწყეს ფარვა პოლიციისაგან არა მარტო პოლიტიკურებისა, არამედ სხვა დამნაშავეებისაც.

პოლიციის სიძულვილმა შეამუშავა ხალხში ერთნაირი მესაიდუმლოება, ყველაფერს უმალავდნენ პოლიციას და ეს მათ ნამუსათ მიაჩნდათ. პოლიტიკურ საქმეებზე შეფიცულები ხშირათ [illegible] კი უწევდენ მესაიდუმლოებას, ხანდახან ტერორსაც კი მიმართავდენ პოლიციელებისა და მათი აგენტების წინააღმდეგ.

დაეცა ძველი თვითმპყრობელობა და მის ნანგრევებზე აღმოცენდა ხალხის ბატონობა.

დიდმა რევოლიუციამ არა მარტო მოაშორა ქართველ ხალხს რუსეთის თვითმპყრობელობა, არამედ მოუპოვა მას სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა დემოკრატიული რესპუბლიკის სახით. ჩვენს სახელმწიფოს, ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკას აქვს მართვა გამგეობის აპარატები: დამფუძნებელი კრება, სამინისტრო, ერობა, თემი და სხვა... ყავს გარეშე და შინაურ მტერთაგან დამცველი ძალები: ჯარი, გვარდია და მილიცია.

შინაური წესრიგის დაცვა ჩაბარებული აქვს შინაგან საქმეთა მინისტრს და მის მილიციას. დღევანდელი მილიცია არის რესპუბლიკის წესრიგის დამცველი შეიარაღებული ძალა.

ამნაირათ, იყო მეფის თვითმპყრობელობა მისი მინისტრ-პოლიციით,—არის ხალხის ნების ყოფით მოვლინებული დემოკრატიული რესპუბლიკა მისი მინისტრით და მილიციით.

ძველი წყობილების მინისტრი და პოლიცია იცავდენ მეფეს, თავად აზნაურებს, მემამულეთ, კაპიტალისტებს, ერთი სიტყვით ხალხის მტრებს.

რესპუბლიკის მინისტრი და მილიცია იცავს რესპუბლიკის წყობილებას და მის თავისუფალ მოქალაქეთ.

პირველები ებრძოდენ ხალხს, მეორენი იცავენ ხალხს და მის სუვერენიტეტს.

მეფეს და მის ამალთ უყვარდათ ძველი პოლიცია, ხალხმა უნდა შეიყვაროს მისი პირმშო მილიცია.

მეფის მინისტრი და პოლიცია იყო თვითმპყრობელობის ერთგული მცველი და დარაჯი მისი ინტერესებისათვის ხალხის წინააღმდეგ თავგანწირული მებრძოლი.

დღევანდელი მინისტრი და მილიცია არიან საზოგადო მოღვაწენი, რომელნიც ჯარისა და გვარდიის მსგავსათ თავს დებენ რესპუბლიკის სასიცოცხლო ინტერესებისათვის.

ამათი მსგავსება იმაში მდგომარეობს, რომ ორთავე ისინი აქტიურათ იცავენ სახელმწიფო წყობილებას. პოლიცია—თვითმპყრობელობას, მილიცია—ხალხის ბატონობას.

ძნელი და რთულია მილიციის მოვალეობა იმითაც, რომ ის ებრძვის ხალხში არსებულ სახელმწიფოსათვის საჭირო წესრიგის ათასი ჯურის მოწინააღმდეგეს, რომელთა შორის ხშირათ მეზობლებიც, მათი, ეგრეთ წოდებული, მოტირალ მოცინარიც ურევია. ეს კი ასე იოლი საქმე არ არის ჩვენი შეგნების წრიდან გამოსულ პირთათვის.

თუ დემოკრატიამ საკუთარი ძალით დასცა პოლიცია, როგორც ძველი წყობილების აპარატი და მის ადგილას ჩააყენა მილიცია, დემოკრატიის ღვიძლი შვილი, აქედან ცხადია მილიციას, როგორც ხალხის ინტერესების უალრესად დამცველ ორგანიზაციას, უდიდესი ნდობით უნდა ეპყრობოდეს ხალხი.

პოლიციას ხალხი უმალავდა საიდუმლოებას მილიციისათვის ღია უნდა იყოს ხალხის გული. არავითარ საიდუმლოებას აქ ადგილი არ უნდა ქონდეს.

ხომ დიდ სულელათ ჩასთვლით იმ კაცს, რომელიც შეამჩნევს მისი ქონების ქურდს და ამ ქონებაზე მიჩენილ დარაჯს კი ამის შესახებ არას გაუმჟღავნებს.

მილიცია რესპუბლიკის წესრიგის დამცველი დარაჯია და ყველა მოქალაქე ვალდებულია მას ამ საქმეში დაეხმაროს.

შეიძლება მილიციაში მოწყდეს ულირსი პიროვნება, რომელმაც ბოროტათ ისარგებლოს თავისი სამსახურით, მაგრამ ეს ჩვენ სრულებით არ გვაძლევს საბუთს, რომ მილიცია, როგორც სახელმწიფო აპარატი, შევიძულოთ, პირიქით უნდა ვეცადოთ, რომ ამ მახინჯიდან რაც შეიძლება ადრე განვათავისუფლოთ მილიციის ოჯახი.

დღეს მილიცია თან და თან მაგრდება, ამიტომ ის დღიდან დღე გაუმჯობესდება, ამის თავმდები ის გარამოებაა, რომ მილიციის ახლობელი კონტროლი და მეთვალყურე თვით ხალხია მისი ერობისა და თემის სახით.

მაზრაში არის როგორც სამაზრო, ისე სათემო მილიცია. ყველა თემს ყავს 3—5 და ზოგანც მეტი რიცხვი მილიციისა. ეს დიდი რაოდენობა არ არის, მაგრამ თუ ხალხსა და მათ შორის ნდობა იქნება, მაშინ მილიცია სავსებით შესძლებს მოვალეობის პირნათლად შესრულებას.

რესპუბლიკის მოხელეთაგან ხალხთან ყველაზე უფრო ახლო მილიცია სდგას. მილიციის სიავ-კარგით ხალხი ზომავს რესპუბლიკის სიავკარგეს, ამიტომ მილიცია მეტის სიფრთხილით უნდა იქმნეს შედგენილი.

მილიცია რესპუბლიკის გამამტკიცებელი ერთი უმთავრესი ძალაა, მის დაცემა—[illegible] ერთად დაზარალდება თვით ხალხის ინტერესები, მისი დემოკრატიული რესპუბლიკა, ამიტომ მისი ძალა და სიმტკიცე ეს თვით რესპუბლიკის ძლიერებაა. ეს მუდამ უნდა გვახსოვდეს. ეხლა ვიკითხოთ ღირსეულათ ვეპყრობით ჩვენ მილიციას?—არა, არ ვეპყრობით. ჩვენს ხალხს თოფიანი მილიციონერი ჯერ კიდევ თოფიანი სტრაჟნიკი გონია. გვერდს უხვევს მას, ემალება, უმალავს საქმის სინამდვილეს. ერთი სიტყვით, დგება მასთან ისეთს დამოკიდებულებაში, როგორშიაც რევოლიუციონური ხალხი იყო ძველ პოლიციასან. მილიციონერი ყველა იდეიურათ გაწვრთნილი და შეგნებული არ არის, ხალხის ასეთი დამოკიდებულება გულს უტეხს მათ. ზოგ სულმოკლე მათგანს ასეთს აზრზეც აყენებს: სულ ერთია, ხალხი ხომ მაინც ძველ პოლიციელათ მთვლის და რა იქნება, რომ პოლიციელების გზას დავადგე.— აქედან იწყება მილიციის ერთი ნაწილის ზნეობრივათ დაქვეითება, ძველი პოლიციელის გზაზე დადგომა. ამით ილუპება რესპუბლიკის და ხალხის საქმე. შეგნებულ ხალხში მილიცია ვერ იბოროტმოქმედებს. თუ ქრთამის მიმცემი არ იქნება, ამღები საიდან გაჩნდება!.

როცა ხალხი ძირიანათ შესცვლის ძველი რეჟიმისგან ნაანდერძევ შეხედულებას მილიციაზე, როგორც ყოფილ პოლიციაზე, როცა ის გაუხსნის თავის გულს ჩვენს მილიციას, როცა მილიცია შეხედავს თავის მოვალეობას, როგორც სახელმწიფო—საზოგადო მოღვაწეობას, და ასეთი პასუხისგებით აღჭურვილი ყოველი საშუალებით შეეცდება რესპუბლიკისადმი პატიოსანი და თავდადებული სამსახურით შესაფერი ადგილი დაიჭიროს ხალხის გულის სიღრმეში. როცა მთავრობა და ხალხი უსასტიკესად დასჯის იმ მილიციონერს, რომელიც ბოროტათ ისარგებლებს თავის სამსახურით ან დაუდევრობით სახელს გაუტეხს მილიციას, მაშინ ჩვენი მილიცია დადგება თავის სიმაღლეზე, გამაგრდება სახელმწიფოებრივი ლიდგი ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკისა და განმტკიცდება მისი სახელმწიფოებრივობა, როგორც შიგნით, ისე გარეთ.

გიქ. ღლონტი.

## გამგეობის დადგენილებიდან:

— ნება მიეცეს სასურსათო განყოფილების აგენტს სამსახურის საჭიროებისათვის ლანჩხუთის უბანში შეიძინოს ცხენი და ამ მიზნით დახარჯოს 15 ათას მანეთამდე.

— ნება მიეცეს მასვე ლანჩხუთის საწყობისათვის დაიქირაოს ნოქარი.

— დამტკიცდეს ნანეიშვილის თემის ხარჯთ აღრიცხვა, რომლის ბალანსი შეადგენს 21.000 მანეთს გამოკლებით გასავლის ნაწილის მე 4 მუხლისა, რომელიც შეეხება სამეურნეო სკოლის ხარჯებს, რადგან ეს შეადგენს სამაზრო ერობის საზრუნავ საგანს.

— საწყობის გამგეს ლ. ჭანტურიშვილს მიეცეს ავანსათ ორი ათას ცხრაასი მანეთი ეზოს შესალომ ხარჯების ანგარიშში.

— მიეცეს მილიციის უფროსს ლ. თაყაიშვილს ქვესს სამოცდა თოთხმეტი მანეთი ბათუმში მოგზაურობაზე გაწეული ხარჯების დასაფარავათ.

— უარი ეთქვას აქვს. პაიჭაძეს და სამს. ოსეფაშვილს მათზე შეწერილი სანიტარული გადასახადის შემცირებაზე, თანახმად ჩოხატაურის თემის გამგეობის დასკვნისა.

— შესყიდულ იქნას ქალაქის კოოპერატივ „მკონომიდან" სასწორი სამიათას მანეთად.

— ერობის კასიდან იქმნას გადახდილი ყველა ხარჯები, გამოწვეული გარდაცვალებულ დამფ. კრებ. წევრის ს. სურგულაძის ობლების ადგილობრივ ლაზარეთში მოთავსებით.

— მოწვეულ იქნას ერთი საეპიდემიო ფერშალი. რომლის ჯილდო განისაზღვროს შემდეგ.

— დაინიშნოს ჩიბათის პუნქტზე ექიმის თანაშემწეთ გრიგოლ გიორგის-ძე ქუონია 28 იანვრიდან.

— მასწავლებელ თამარა ბაჟუნაიშვილს მიეცეს 4 თვით თავისუფლება უჯამაგიროთ.

— მიეცეს მასწ. ივანე გიორგაძეს ერთი თვის თავისუფლება უჯამაგიროთ.

— მიღებულ იქნას ერობის ხარჯზე წითელმთის. კვირიკე-ზემოხეთის, ჭანჭათისა და ნაბეღლავის პირველ დაწყებითი სკოლების თოთო ზედმეტი კომპლექტი და აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა ამავე რიცხვიდან იქნან მიღებული ეს კომპლექტები მთავრობის ხარჯზე.

თანახმად ს. დიდი ვანის მცხოვრებთა შუამდგომლობისა, გამოეყოს ეს სოფელი სურების თემს და სოფ. შამანაურთან ერთად დაარსდეს ის ცალკე, თემათ; სახელით ამ თემს ეწოდოს „დიდი ვანის თემი" დიდი-ვანის თემის საბჭო შესდგეს 20 ხმოსნისაგან, რომელთა არჩევნები დაინიშნოს 15 თებერვალს; არჩევნების სახელმძღვანელოთ შესდგეს ადგილობრივათ საარჩევნო კომისია მასწავლებელ ონიფ. რამიშვილის თავმჯდომარეობით.

წინადადება მიეცეს სურების თემის საბჭოს სასწრაფოთ გამოარკვიოს საკითხი ამ თემში დარჩენილ სოფლების: ზემო, შუა და თავ-სურების ერთეულში დარჩენისა და მათი ცენტრის შესახებ და თავისი დასკვნით აცნობოს სამაზრო ერობის გამგეობას.

**ბრიტანეთის უმაღლეს წარმომადგენელს ოლივერ უორდროპს ერობის თავმჯდომარემ ს. ჭანტურიშვილმა 1 თებერვალს გაუგზავნა შემდეგი დეპეშა:—**

„მთელი გურია, რომლის ჩამოვლა და საქართველოს მდგომარეობის შესახებ მოხსენების გაკეთება ეხლა დაამთავრა დამფუძნებელი კრების წევრმა აკაკი ჩხენკელმა გულწრფელ სალამს გიძღვნის თქვენ, დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელს, იმ დამოუკიდებლობის გამო, რომელიც მოიპოვა საქართველომ თქვენის დახმარებით. საქართველო ზეიმობს დამოუკიდებლობას, მაგრამ ამ ზეიმს ჩრდილავს ის გარემოება, რომ გურიის მოსაზღვრე ბათუმის ოლქი ჯერ კიდევ არ არის მისი ბუნებრივი პატრონის, საქართველოს, მთავრობის ხელში. მთელი გურია მოუთმენლათ ელოდება იმ წამს, როცა მისი საზღვრები ბათუმის ოლქთან გაიშლება და საქართველო გაერთიანდება. გურიის ხალხი ღრმათაა დარწმუნებული, რომ თქვენი საშუალებით დიდი ბრიტანეთი და ბრიტანეთის საშუალებით მოკავშირეთა სახელმწიფონი ამ საკითხის გადაჭრაშიაც დაადგებიან ბრძნულ ნაცად გზას სამართლიანობის დაცვისა. ხანგრძლივი იყოს თქვენი სიცოცხლე დიდი ბრიტანეთის სასახელოთ და პატარა საქართველოს საკეთილდღეოთ".

**ოზურგეთის მაზრის მილიციის განკარგულებიდან:**

**ბრძანება № 10.**

20 იანვარი, 1920 წელი. რეზერვის მილიციონერი გიორგი გაგუა ნებადაურთველათ წავიდა ქ. ფოთში, სადაც დარჩა ერთი დღე. ასეთი თვით მოქმედებისათვის მილიციონერ გაგუას ვსჯი ათი დღის ციხით, მაგრამ ვინაიდან ეს მოქმედება გაგუასი პირველია, ამ სასჯელს უცვლი 8 დღის სამსახურით.

**ბრძანება № 13.**

21 იანვარი, 1920 წელი. სუფსის უბნის მილიციის უფროსს ვარლამ მეგრელიშვილს, თანახმად მისი თხოვნისა, მიეცეს დროებითი თავისუფლება 1 თებერვლამდე. ამა 1920 წ. სუფსის უბნის მილიციის უფროსის თანამდებობის დროებით ასრულება დაევალოს ამავე უბნის უფროს მილიციონერს ლავრენტი უშვერიძეს.

## ბრძანება № 14.

22 იანვარი, 1920 წ. ქ. ოზურგეთი. გურიანთის უბნის მილიციის უფროსმა ი. დოლიძემ წარმოადგინა 22 ამა იანვარს მისი განკარგულებით შეპყრობილი ქ. ოზურგეთში ს. უჩხობის მცხოვრები კვირიასი ბალავერის-ძე ელენტი და მომახსენა, რომ ავაზაკი ელენტი დააკავეს მისი განკარგულებით მილიციონერებმა ლადიკო გოგოტიშვილმა, სევერიანე თოიძემ, გიორგი დარჩიამ და ოსმან გოხიძემ.

ასეთი მოხერხებული განკარგულებისათვის გურიანთის უბნის მილიციის უფროსს ი. დოლიძეს და ზემო აღნიშნულ მილიციონერებს ბეჯითად განკარგულების ასრულებისათვის უცხადებ ნარიადით მადლობას იმ იმედით, რომ ისინი შემდეგშიაც ასე პირნათლად შეასრულებენ თავის მოვალეობას. ასლი ამა ბრძანებისა გაეგზავნოს ყველა უბნის და ქალაქის მილიციის უფროსებს საყურადღებოთ.

## ბრძანება № 15.

30 იანვარი, 1920 წ. ქ. ოზურგეთი. გურიანთის უბნის მილიციის უფროსმა 25 ამა იანვარს № 74 მომახსენა, რომ მან ფრიად საჭირო საქმის გამო 24 ამა იანვარს გაგზავნა მისი პოსტის მილიციონერი ნიკიფორე ურუშაძე ლვაბზუის თემის სამმართველოში, რომელიც უნდა დაბრუნებულიყო იმ დღესვე, ორ-საათამდის, მაგრამ მილიციონერი ურუშაძე დაბრუნდა მეორე დღეს, 25 იანვარს, და განაცხადა, რომ პაკეტი გადასცა მილიციონერს ნოე ჩხატარაიშვილს.

ასეთი დაუდევრობისათვის და სამსახურის შეუსრულებლობისათვის მილიციონერს ნიკიფორე ურუშაძეს ვუწყვეტ ათი დღის ციხეს და შემდეგ ვითხოვ სამსახურიდან.

## სკოლის საკითხები.

### III.

„არა მარტო ცოდნა, არამედ ცოდნასთან შეთანხმებული მოქმედება—აი, შენი დანიშნულება, ასეთი ხმა მესმის ჩემი სულის სიღრმიდან, როცა ვიწყებ აზროვნებას, თავის თავის ცნობას. არა მარტო უქმ დაკვირვებათათვის და განყენებულ აზროვნებისათვის,—მოქმედებისათვის არსებობ შენ. მოქმედება და მხოლოდ მოქმედება საზღვრავს და აამკარავებს შენს ღირებულებას". ეს სიტყვები ფიხტესი, ადამიანისადმი მიმართული, სხოლასტიური სკოლის სიკვდილის განაჩენია იმ ძველი სკოლის, რომელიც, ნიცშეს აზრით, არის არც მეტი, არც ნაკლები—მხოლოდ „მეცნიერულ ჩასუქება—დამყაყების" დაუშრეტელი წყარო.

მხოლოდ „მოქმედების პედაგოგიკის" საშუალებით შეიძლება სკოლის გარდაქმნა, მისი გაჯანსაღება და ცხოვრებასთან ორგანიულად შეკავშირება.

„აღზრდა მოქმედებით და მოქმედებისათვის არის აღზრდა ცხოვრებით და ცხოვრებისათვის. მოქმედების პედაგოგიკა ცხოვრების პედაგოგიკაა", —ამბობს თანამედროვე გამოჩენილი პედაგოგი ლაი, რომლის გამოკვლევანი თითქმის ახალ ხანას ჰქმნიან პედაგოგიურ ლიტერატურაში. ახალი სკოლა ახლა არავის არ წარმოუდგენია, თუ არა შრომის, მოქმედების სკოლად.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ შრომა მოქმედების პრინციპი სკოლაში უკანასკნელ წლებში იყოს წამოყენებული, როცა ექსპერიმენტალურმა პედაგოგიკამ ნამდვილი მეცნიერების ხასიათი მიიღო და გაამართლა თავისი გამოკვლევანი შრომის საშუალებით მიზანშეწონილ სწავლა-აღზრდაზე ჯერ კიდევ აღორძინების ეპოქაში დაიწყეს ლაპარაკი.

ყოფილი ბერი და შემდეგ ექიმი რაბლე (1553 წ.) მოითხოვს ახალი თაობის აღზრდას ცხოვრებისათვის, პრაქტიკულ ვარგებულობისათვის.

მონტენი (1592 წ.) ამბობს: „ჩემი მოწაფე ვალდებულია არა მარტო მიპასუხოს გაკვეთილი, არამედ შემისრულოს ის სწავლობს გაკვეთილს მოქმედების საშუალებით".

კომენსკი (1670 წ.) თავის „დიდებულ დიდაქტიკაში" მოითხოვს მოწაფისაგან ლაპარაკის უნართან ერთად მოქმედების უნარსაც.

ლოკკის (1693 წ.) აზრით, უმაღლეს წოდების წარმომადგენელთათვისაც სავალდებულო უნდა იყოს სკოლაში რომელიმე ხელობის შესწავლა.

ფრანკე (1727 წ.) ხელგარჯილობას აუცილებელ საჭიროებათ სთვლის სკოლაში იმ მიზნით, რომ „ცოტათი მაინც შეანელოს ბავშვის უსაქმობა და ცელქობა".

რუსსო (1762 წ.) ხელგარჯილობას საუკეთესო საშუალებათ სთვლის სულიერ განვითარებისათვის". თუ აქამდე ესმოდათ ჩემი, ახლაც გაიგონ, რომ მე ფიზიკური ვარჯიშობის საშუალებით შეუმჩნევლად ვნერგავ ჩემს მოწაფეში და ვანვითარებ აზროვნების უნარს. მას უნდა შეეძლოს გლეხივით მუშაობა და მეცნიერივით აზროვნება", —ამბობს იგი.

პესტალოცცი მოთხოვს შრომის და სწავლების

გაერთიანებას; მისი აზრით, სხვა და სხვა ხელობის განვითარება სწავლა-აღზრდასთან უნდა იყოს დაკავშირებული და მისგან გამომდინარეობდეს.

ჰერბარტს, მარტო მშრალი სიტყვების სკოლაში დროს დაკარგვას, ის ურჩევნია, რომ ყმაწვილები მუშაობდენ ხელოსანთან, გაქართან, მეურნესთან და სხვ.,—აქ მისი აზრით, უფრო ადრე შეეჩვევიან წესრიგს.

ჰერბარტის მიმდევარ ცილლერის შეხედულებით, შრომას საპატიო ადგილი უნდა ჰქონდეს სკოლაში, მაგრამ ის არ ემსახურება აღზრდის საერთო მიზანს—ის მხოლოდ ამზადებს ნიადაგს პროფესიონალურ ცოდნის მისაღებათ სპეციალურ სკოლაში ან სახელოსნოში.

სხვებზე რომ არ შევჩერდეთ, ნათქვამიდანაც ნათლად სჩანს, რომ შრომა—მოქმედების პრინციპზე აგერ ოთხას წლამდეა, რაც ლაპარაკობენ, მაგრამ თუ რა ადგილი უჭირავს მოქმედებას სწავლა—აღზრდის მთლიან სისტემაში, რა არის მისი ნამდვილი მიზანი, აქვს თუ არა პსიხოლოგიური, ბიოლოგიური, ფიზიოლოგიური, ევოლიუციონური და სხვა საფუძველი—ამის გამოკვლევა—დასაბუთება ექსპერიმენტალურ პედაგოგიკას ეკუთვნის და უკანასკნელ წლების საქმეა.

(შემდეგი იქნება.)

გაბრიელ გოგუაძე.

## რამოდენიმე პრაქტიკული ცნობა შავი სახადის შესახებ.

შავი სახადი ანუ პარტახტიანი ტიფი არის სწრაფ-გადამდები სენი, რომელიც დიდ საფრთხეს წარმოადგენს საზოგადოებისათვის, რადგან ელვის სისწრაფით ედება ახალ-ახალ ადგილებს და, როგორც მძიმე ავათმყოფობა, სიკვდილის დიდ $(^0/_0)$ პროცენტს იძლევა. ეს საშიში სტუმარი მუდმივ თან ახლავს ომს, სიმშილს და ყველა იმ პირობებს, რომელნიც, ასე თუ ისე ასუსტებენ ადამიანის აგებულებას. რუსეთში ამ სახადის ეპიდემია იმდენათ ხშირი იყო, რომ იქ მის მოლოდინში საეპიდემიო რაზმი მუდამ მზათ ყავდათ და მოთხოვნილებისათანავე აგზავნიდენ სადაც ავათმყოფობა გაჩნდებოდა. ასეთი რაზმი იყო ორი სახის: ერთი საეპიდემიო, რომლის მოვალეობას შეადგენდა ავათმყოფების იზოლიაცია, ექიმობა და დეზინფექცია; მეორე რაზმი კი მკვებავი (Питательный Отрядъ). უკანასკნელის მოვალეობა იყო მოეწყო პუნქტები, რომლებიც აჭმევდა ხალხს სასმელ-საჭმელს (სარატოვის გუბ. ატკარსკ. მაზ. 1913 წელს. ასე უნდა მოეწყოს ჩვენშიაც შეძლების და გვარათ

ამ სენის გამავრცელებელი დასაწყისი ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული და ამიტომ ჩვენ არ ვიცით ჯერ სავსებით ის გზები, რომლითაც გადადის ავათმყოფობა. ერთი კი დაბეჯითებით ვიცით, რომ მკბენარეებს (ტილებს) უეჭველში გადააქვთ ეს სახადი ერთი ავათმყოფიდან მეორეზე.

უარყოფილი არ არის აგრეთვე არც ჰაერით გავრცელება ამ სახადისა.

ვინაიდან ეს სახადი ასე საშიშია, საჭიროა ყველამ იცოდეს რამოდენიმე ნიშნები ამ ავათმყოფობისა, რომ დროზედ მიმართონ ექიმს და მიიღონ საჭირო ზომები. ავათმყოფობა იწყება უეცრად შეციებით, ხშირათ პირის საქმებით; სიცხე პირველ დღესვე აიწევს $40^0/$; აუტანელი თავის და წელის ტკივილი, სხეულის მტვრევა, უძილობა, შფოთვა, ხშირათ აზრის დაკარგვა და ბოდვა;

ენა მშრალი, გადაკრული.

მე 3-5-7 დღეზედ ტანზედ და ხელფეხზედ გამოყრის წითელას მსგავსათ. რამოდენიმე დღის შემდეგ ეს წინწკლები ჩაშავდება და ამიტომაც ეწოდება ამ სენს შავი სახადი.

ამ ავათმყოფობასთან ბრძოლა შეიძლება ორი გზით: პირველი, უნდა შეიქნეს ისეთი ჰიგიენური პირობები რომ ავათმყოფობას არ ექნეს ნიადაგი მოიდგას ფეხი; მეორე, როცა ავათმყოფობა გაძლიერდება, უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება ავათმყოფთა იზოლიაციას, ექიმობას და დეზინფექციას. აი ამ გზებით შეიძლება სენის ჩაქრობა, ამიტომ საჭიროა ყოველ ასეთ შემთხვევაში მიმართონ ექიმს და მიყვენ მის დარიგებას.

იმ ოჯახში, სადაც ავათმყოფებია, მიმოსვლა მნახველების დაუშვებელია, რადგან მათ შეუძლიათ სენი გაავრცელონ სოფელში. ავათმყოფს უნდა ყავდეს ორი მომვლელი, რომ ერთი მეორე შეცვალონ; მუდამ ერთს არ შეუძლია, დაიღლება და დასუსტებულ სხეულს კი უფრო ადვილათ დაემართება ეს ავათმყოფობა. მომვლელმა უნდა მიაქციოს დიდი ყურადღება სისუფთავეს, ხშირათ იბანოს ხელები, იცვალოს საცვლები, ქვეშსაგებში არ უნდა ჩაუჯდეს ავათმყოფს, ეცადოს ქვეშსაგებს და ტანისამოსს ავათმყოფისას არ გაეკაროს, ხელებზე გადაივლოს სადეზინფექციო წამლები. თვითონ ავათმყოფი უნდა მოათავსოთ დიდ, ნათელსა და სუფთა ოთახში. როდესაც ოჯახში ავმთმყოფები აღარ არის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუცილებლათ უნდა გაკეთდეს მეჯითი დეზინფექცია. ქვეშსაგებელი და ტანისამოსი სჯობს დაიწვას, უკიდურეს შემთხვევაში უნდა დაირეცხოს და გაუკეთდეს შესაფერი დეზინფექცია. ეს იმიტომ, რომ სახადის მიზეზი, თუ დეზინფექციით არ მოისპო, ახლო მომავალში კიდევ იჩენს თავს.

ყველამ უნდა შეეცადოს, ეს ზომები გატარებულ იქნას ცხოვრებაში, რათა აცილებულ იქნას ის საფრთხე, რომელიც მოგველის ამ სენის სახით.

ექ. ს. აბაშიძე

# კითხვა—პასუხი.

**კითხვა.** — თემის რომელიმე უბანს 50 კაცის ხელმოწერით გამოაქვს ასეთი დადგენილება: ესა და ეს კაცი, როგორც მავნე ელემენტი უბანში, იქნას დატყვევებული ადმინისტრატიული წესი ერთი თვით, და სთხოვს გამგეობას დაუყენებლივ მოიყვანოს სისრულეში. გთხოვთ განგვიმარტოთ; აქვს თუ არა უფლება თემის თავმჯდომარეს გინდ მის ამხანაგს, რომ ეს დადგენილება არ მოიყვანოს სისრულეში?

**პასუხი.** — რადგანაც წინანდელ სასოფლო ყრილობას და მაშასადამე საუბნო კრებასაც წარმოადგენს ყველა მოქალაქესაგან პირდაპირი და ფარული ხმით არჩეული თემის საბჭო, ამიტომ ხალხიდან გამომდინარე მთელი ადმინისტრატიული და საკანონმდებლო ძალა-უფლება ნაწილობრივათ გადადის თემის საბჭოზე, ყრილობის ალაგს იჭერს საბჭო, რომელიც პასუხისმგებელია სხვათა შორის წესრიგის დაცვის საქმეშიაც, როგორც მისი არჩეული ხალხის წინაშე არა-პირდაპირ, უფრო ზნეობრივათ, ისე რესპუბლიკის მთავრობის სათანადო დაწესებულებათა წინაშე პირდაპირ, იურიდიულათ. თემს ყავს თავისი აღმასრულებელი ორგანო: თემის გამგეობა და თემის მილიცია. ამ ორ ორგანოს, განსაკუთრებით კი მილიციას აქვს დაკისრებული, რომ თვალყური უგდოს სოფლად წესრიგის დაცვას და სასტიკათ სდევნოს ყოველგვარი მავნე პირი. მოქალაქის ვალდებულობა იმაში მდგომარეობს, რომ უტყუარი ცნობების მიწოდებით ხელი შეუწყოს სოფლის მილიციას და თემის გამგეობას მავნე პირთა მოძებნა გამონახვაში. რაც შეეხება ამ მავნე პირის დატყვევებას და ადმინისტრატიული წესით თუნდაც ერთი დღით დასჯას, ამის უფლება აქვს მხოლოდ რესპუბლიკის უფლება მოსილ დაწესებულებებს: თემს, სამაზრო ერობას და განსაკუთრებით კი მაზრის მილიციას და შინაგან საქმეთა მინისტრს.

აქედან ცხადია, როცა 50 კაცს გამოაქვს დადგენილება ამა თუ იმ პირის ერთი-თვით დატყვევების შესახებ, ამით ის პირდაპირ ერევა მართვა-გამგეობის საქმეში და ითვისებს იმ უფლებას, რომელიც კანონის ძალით ეკუთვნის ერობას, თემს და განსაკუთრებით კი მილიციას. ასეთი წესი ყოვლად დაუშვებელია ჯერ ერთი ის სცემს თემის გამგეობის ავტორიტეტს და გავლენას ხალხში და თვით დამნაშავეთა თვალშიაც ამით ფუჭდება თვით ხალხის საქმე, ჩნდება მართვა-გამგეობაში არევ-დარევა, ანარქია და ხანდისხან თვითგასამართლებამდეც კი აღწევს საქმე.

ასეთი განმარტების შემდეგ დასმულ კითხვაზე პასუხიც ცხადია: თემის თავმჯდომარე არც მისი ამხანაგი იურიდიულათ, ფორმალურათ, არ არის ვალდებული მოიყვანოს სისრულეში 50 კაცის დადგენილება მით უმეტეს, როცა ადმინისტრატიული წესით ციხის მისჯის უფლება აქვს მხოლოდ მაზრის ადმინისტრაციას, არსებითად კი ისენი, თუ უტყუარი საბუთები იყო მავნე პირის წინააღმდეგ წამოყენებული, 50 კაცის მაგიერ რომ ერთი კაცი ყოფილიყო ამისი მოწმე მაინც ვალდებული იყვნენ ფორმალური მხარე თავათ შეესრულებიათ და ეს მავნე პირი მოეშორებიათ ხალხისათვის.

ექიმი
ს. ვ. აბაშიძე
ღებულობს შინაგან სენით ავადმყოფებს სიფილისის ექიმობა, „606“ და „914“.
ავადმყოფებს იღებს 4—6 საათამდე.
კოჩია სიამაშვილის სახლში.

რედაქტორი—კოლეგია.
გამომცემელი—ოზურგ. სამაზრო ერობის გამგეობა.

სტამბა ალექ. ა. კალატოზიშვილისა ქ. ოზურგეთში